ს.ს.ი.პ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს სხდომა

16 ნოემბერი 2006 წელი

ს.ს.ი.პ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მისამართი:
ქ. თბილისი, არაყიშვილის I ჩიხი №9

სხდომის დაწყების დრო: 18:31სთ.

სხდომაზე დამსწრე აღმასრულებელი საბჭოს წევრები:
კახაბერ ასლანიშვილი (თავმჯდომარე), დავით ასათიანი, რუსუდან პიტავა, ზაზა ხატიაშვილი, ზურაბ ტაბიძე

სხდომის თავმჯდომარე: კახაბერ ასლანიშვილი

დღის წესრიგი:

1. საკვალიფიკაციო კომისიის სავარაუდო კანდიდატების დამტკიცება;
2. საადვოკატო საქმიანობის განხორციელების უფლების შეჩერების მსურველთა განცხადებების განხილვა;
3. სხვადასხვა (საშტატო განრიგში ცვლილების შეტანა).

აღმასრულებელი საბჭოს სხდომაზე ასოციაციის თავმჯდომარის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო კომისიის სავარაუდო კანდიდატების სია შეფასდა დადებითად.

ს.ს.ი.პ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის" წესდების 21-ე II მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად სხდომაზე განხილულ იქნა ასოციაციის იმ წევრთა განცხადებები, რომლებიც ითხოვდნენ საადვოკატო უფლებამოსილების შეჩერებას,

აღმასრულებელი საბჭოს თავმჯდომარის მიერ გამოითქვა მოსაზრება ასოციაციის აპარატის საშტატო განრიგში ცვლილების შეტანის თაობაზე. კერძოდ, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის არსებობის აუცილებლობის შესახებ. თავმჯდომარის წინადადებას დაეთანხმა საბჭოს ყველა ის წევრი, რომელებიც სხდომას ესწრებოდნენ.

გ ა დ ა წ ყ დ ა:

1. ადვოკატთა ტესტირების საკვალიფიკაციო კომისია დამტკიცდა შემდეგი შემადგენლობით: ავთანდილ დემეტრაშვილი, როინ მიგრიაული, იური გაბისონია, კახაბერ ასლანიშვილი, მზია თოდუა, მაკა სალხინაშვილი, კონსტანტინე კორკელია, მაია კოპალეიშვილი, ირაკლი დვალიძე.

თუ კომისიის ერთ-ერთი წევრი ვერ შეძლებს კომისიის მუშაობაში მონაწილეობას, საბჭოს გადაწყვეტილებით, მას ჩაენაცვლება სხვა პირი.

2. ადვოკატთა ასოციაციის წესდების 21-ე II მუხლის შესაბამისად, დაკმაყოფილდა ასოციაციის წევრობის შეჩერების მსურველთა განცხადებები.

3. დამტკიცდა აღმასრულებელი საბჭოს სხდომაზე წარმოდგენილ ასოციაციის აპარატის საშტატო განრიგში გათვალისწინებული ცვლილება: იგი ითვალისწინებს საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერის თანამდებობისთვის ერთი საშტატო ერეულის დამატებას.

გადაწყვეტილების მიღებისას აღმასრულებელი საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ: კახაბერ ასლანიშვილი, რუსუდან პიტავა, ზაზა ხატიაშვილი. ზურაბ ტაბიძე, დავით ასათიანი;

გადაწყვეტილება მიღებულ იქნა ერთხმად, ღია კენჭისყრით.

კახაბერ ასლანიშვილი
ასოციაციის თავმჯდომარე